პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 220 (19961) ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მოსაგზაღი-87

მთელი ძალები მოვახმაროთ ჭირნახულის აღებას

ორგანიზებულად, დაუყოვნებლივ დავამთავროთ მინდვრის სამუშაოები

დიდი ძალ-ღონე, ცდა და სახსრები მოხმარდა მოსავლის მოვლა-მოყვანას. მაგრამ შემოდგომამ მიწათმოქმედთ ახალი გამოცდა მოუმზადა. აკადარი აბრკოლებს მკას, კარტოფილის, ბოსტნეულის, ტექნიკური კულტურების აღებას. შეიქმნა პროდუქციის დანაკარგებისა და გაფუჭების საშიშროება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განიხილა მოსავლის აღების დამთავრების დაჩქარების საკითხი და შექმნილ ვითარებას განსაკუთრებით დაძაბული უწოდა. მაგრამ ჯერჯერობით ყველგან როდი აფასებენ სათანადოდ შექმნილი სიტუაციის სიმწვავეს. სწორედ ამის შედეგია ზოზინი, არაორგანიზებულობა, მუშახელის და ტექნიკის მოუქნელი მანევრირება.

რა არის დღეს განსაკუთრებით შემაშფოთებელი? მოუმკალია ჯერ კიდევ მილიონობით ჰექტარი პურეული ქვეყნის არაშავმიწანიადაგიან ზონასა და აღმოსავლეთში. მნიშვნელოვან ფართობებზე აწვიმს გაულეწავ ღვარეულებს. ფერხდება ბოსტნეულის კონვეიერი. შარშანდელთან შედარებით გაუარესდა სიმინდის, მზესუმზირის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის და ბამბის აღება. ბევრგან თითქმის შეჩერდა საკვების დამზადება. და მაინც, როგორც მრავალი მეურნეობის გამოცდილება ცხადყოფს, შეიძლება ავდარს გამოვგალიჯოთ მოსავალი. მთავარია არ მოვდუნდეთ, ყურები არ ჩამოვუყაროთ, არამედ აქტიურად და შეუპოვრად ვიმოქმედოთ. სწორედ ასე იქცევიან ალტაის, ცელინოგრადის, ომსკის საუკეთესო მეურნეობები. ავდართან ორთაბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც ითვალისწინებს ყოველი ნაკვეთის მდგომარეობას, სამარჯვებს იყენებს ტექნიკის ამოქმედების, თიბვის, სველი, ჩაწოლილი პურეულის ლეწვის გასაუმჯობესებლად. იქ კი, სადაც კომბაინი ვერ გაივლის, მოსავალს ხელითაც კი იღებენ, ოღონდ მარცვლეული მინდორში არ დარჩეს.

მთელი ჭირნახული რაც შეიძლება სწრაფად უნდა ავიღოთ და საიმედოდ დავაბინაოთ. დღეს შეუწყნარებელია თვითდამშვიდება და უგულველობა. ამ სიტუაციაში ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ ხალხის დასარაზმად და მატერიალური რესურსების თავმოსაყრელად. სექტემბრის შუა რიცხვებისათვის ლენინგრადის ოლქის მეურნეობებში, მაგალითად, მარცვლეული გალეწეს ნათესების მხოლოდ მეოთხედ ფართობზე. პურეულის ნახევარზე მეტი ასაღებია კუსტანაის ოლქში. მაგრამ განსაკუთრებით ჩამორჩენიან ბურიატი, ირკუტსკელი, ჩიტელი მიწათმოქმედნი, რომლებმაც მარცვლეული ნათესების მესამედზე ნაკლებ ფართობზე გალეწეს.

მოსავლის ბედი კალოებზეც წყდება და პურის მიმღებ საწარმოებშიც. ბევრ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას შეეძლო დაეჩქარებინა შესყიდვა, მაგრამ აქ ზოგჯერ იმარჯვებს კუთხურობა, და არა სახელმწიფო ინტერესები. მარცვლეული გროვდება კალოებზე, სველდება წვიმაში. ათასობით ტონა პურეულია ჩაწოლილი ახლა ვოლგოგრადის, ალტაიზე, ურალში, ოროსტოვის და ვოლგოგრადის ოლქებში. უნდა დამატებით გაეშროთ და დამუშავებინათ ნათესები. მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ ყოფნით საშრობი სიმძლავრეები, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს საწარმოებში ისინი ხშირად არ არიან დატვირთული. ადგილობრივი პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უწყებრივი დაქსაქსულობის, მომლოდინე პოზიციის გამო საფრთხე ექმნება პროდუქციის შენარჩუნებას და ხარისხს. დამამზადებლები სუსტად იყენებენ ღონიერი ხორბლისა და თავთუხის შესყიდვის დაჩქარების ეკონომიკურ ტიმულებს, საკმარისად არ ახალისებენ მარცვლეულის შეგეგმით ჩაბარებას. აგრომრეწვის ორგანოებმა უფრო ზუსტად უნდა მოაგვარონ რესურსების შემხვედრი გაყიდვა.

სოფელს დასახმარებლად მიაშურეს ქალაქელებმა, გაიგზავნა ტექნიკა და ტრანსპორტი. მაგრამ ხშირად დასახმარებლად მოსული ხალხი და მანქანები ცდება საქმის ცუდი ორგანიზაციის გამო. კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც დაინტერესებულიც არ არიან სამუშაოების დაჩქარებით, რადგან მათი შრომის ანაზღაურება დაკავშირებული არ არის მოსავლის აღების ვადასთან და ხარისხთან. კარტოფილის ნათესებში „ერთ ადგილს ტკეპნის“ ასობით კაცი, დღეში კი თითოზე ერთი ტომარა კარტოფილიც არ მოდის. ამავე დროს „მეორე პურის“ მოსავლის აღებასთან დაკავშირებული მდგომარეობა იოლი როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრგან იგი არ შემოვიდა. ხვალისთვის არ უნდა გადავდოთ და სასწრაფოდ უნდა მოვაგვაროთ მოსახლეობისაგან კარტოფილის შესყიდვის საკმე, აგრეთვე მაქსიმალურად ჩავაბათ დამზადებაში ბოსტნეულის მთელი სასაქონლო რესურსები, მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ ამ დროს საკონსერვო ქარხნების, საამქროების და საცავების პოტენციალი.

ზამთრისათვის ფერმების მომზადებაც არ უნდა დავაყოვნოთ. საჭიროა ნორმალური პირობები შევუქმნათ მშრომელებს, ვიზრუნოთ ფერმების გათბობისა და დროული რემონტისათვის. საკვების მარაგი ჯერჯერობით აშკარად არ კმარა საქართველოში, მოლდავეთში, კიროვოგრადის, ოდესის და რიაზანის ოლქებში. ნახევრად და ნაკლებად შეასრულეს საკვების ჩადების გეგმები კურგანის, ტიუმენის და ამურის ოლქების მეურნეობებმა. რისი იმედი აქვთ მათს ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს? ალბათ, მეზობლების და სახელმწიფოს იმედით არიან. დროა ბოლო მოვუღოთ სხვის მოიმედეობას, მკაცრად, პარტიულად მოვკითხოთ იმათ, ვისაც საკმარისად აქვს მიწაც, ტექნიკაც, სხვა რესურსებიც, ნახირს კი ყოველ წელს ნახევრად აშიშვლებენ. ახლა პრაქტიკულად ყოველ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში შეიძლება საგარანტიოდ გაიზარდოს საკვების მარაგი, თუ უნარიანად გამოვიყენებთ ბალახის მეორე და მესამე ნათიბს, მემინდვრეობის ნარჩენებს.

ПРАВДА
23 სექტემბრის მოწინავე

მომავალი მოსავალი მიწათმოქმედთა განსაკუთრებულ უურადღებას მოითხოვს, უწინარესად — საშემოდგომო მინდვრები. აქ უფართოვდება ინტენსიური ტექნოლოგიით მოვლილი ნათესები. თესვის ტემპი შარშანდელზე ნაკლებია. ბევრია მეურნეობა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოპტიმალური ვადა გავიდა, არაფერი დაუთესავთ. დაძაბული სიტუაციაა მზრალად ხვნასთან დაკავშირებითაც, რთულია ახლა მოსავლის აღების მარშრუტები, განსაკუთრებით იქ, სადაც იძულებული არიან პროდუქცია სოფლის შარაგზით და გადარეცხილი გზებით გადაზიდონ. მით უფრო საწყენია მძღოლებისათვის, რომ იძულებული არიან საათობით იდგნენ ელევატორების, მიმღები პუნქტების ჭიშკართან. მაგალითად, დიდხანს უნდებიან კარტოფილით დატვირთული მანქანების დაცლას ვლადიმირის ოლქის კურლოვოს სამომხმარებლო საზოგადოების დამამზადებელ კანტორაში. ხშირად ტრანსპორტის მოცდენა დაკავშირებულია საწვავის ნაკლებობასთან. მოსავლის აღების არახელსაყრელი პირობები ზრდის მის ხარჯვას. მიწათმოქმედნი ფონდებითაც არ არიან საკმარისად უზრუნველყოფილი. საჭიროა ასიათასობით ტონა დიზელის საბობი და ბენზინი. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახაგრომრეწვმა უნდა განსაზღვრონ, თუ რეალურად რამდენი სჭირდება სოფლის მეურნეობას საწვავ-საპოხი ფასალები, უზრუნველყონ მომხმარებლისათვის მისი შეუფერხებელი მიწოდება.

მინდვრად საგანგებო ვითარებას უნდა დავუპირისპიროთ პარტნიორთა შეთანხმებული მოქმედება და სრული ურთიერთგაგება. მათი მოქმედების კოორდინაცია უნდა იკისროს რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებამ. მაგრამ ყოველმა რაიონულმა აგრომრეწვმა როდი მოახერხა გამხდარიყო ალიობის ნამდვილი შტაბი. ტელეფონით ბრძანებებს, მრისხანე განკარგულებებს კი არ ელიან მიწათმოქმედნი, არამედ რეალურ, კონკრეტულ დახმარებას. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტები მოვალენი არიან იცნობდნენ თითოეული მეურნეობის ვითარებას, საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად ამოქმედებდნენ ტექნიკას.

ძნელი შემოდგომა პარტიული ორგანიზაციების ენერგიულ მოქმედებას საჭიროებს. სოფლის თითოეული კომუნისტი მინდორში მუშაობისათვის მომზადებული უნდა იყოს და აქტიურად მონაწილეობდეს მოსავლის გადარჩენაში. ეს საუკეთესო დასტური იქნება იმისა, რომ კაცი გარდაქმნის საქმის ერთგულია.

ორი-სამი კვირაღა რჩება მიწათმოქმედების, მათი თანაშემწეების განკარგულებაში. დაეძებოთ ძალები, დაეძლიოთ სიძნელენი, გამოვგალიჯოთ მოსავალი ავდარს! მხოლოდ ასე გადავჭრით დღეს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანას — უზრუნველყოთ ქვეყნის მოსახლეობა სურსათით.

გარდაქმნის დაშქარი

1. ლაზათიანი ხელი აქვს

საამქროში ასზე მეტი მანქანა გაბმულად, რიტმულად გუგუნებს. მანქანებზე მუშები დახრილან. ყოველი მთგანი სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს — ვინ კაბის ბოლოს აგვირისტებს, ვინ ქალის კოსტიუმზე ღილ-კილოს, ვინ ერთმანეთზე სხვადასხვა დეტალს აკერებს. ყველა საქმეს გაუტაცია.

აგერ ისიც, მანანა ტლაშაძე — ჩვენი დღევანდელი ჩანახატის გმირი. მთელი ყურადღებით ჩასჩერებია საქმეს, გარშემო რა ხდება, თითქოს არც ესმის. ფაქიზად გამოჰყავს გვირისტი.

რით განსხვავდება მანანა სხვა თავისი თანამოსაქმეებისაგან? თვითონ მას თუ ჰკითხავთ, არაფრით, ყველანი ერთნაირად ვირჯებთო, ამბობს. უფრო მეტიც, სწორედ ამათ შემაყვარეს ჩემი საქმეო, დასძენს.

ვერა ჯავახიშვილს, მის ყოფილ დამრიგებელს კი ცოტა სხვაგვარი აზრი აქვს:

— იცით რა შრომისმოყვარეა? საოცარ ნებისყოფას იჩენს ხოლმე, როცა საქმე მის ნახელავს ეხება, რამდენჯერმე შეუძლია მიუბრუნდეს ერთსა და იმავე დეტალს, სანამ ისე არ გამოუვა, როგორც სურს, როგორც საჭიროდ მიიჩნია. სხვანაირი, ლაზათიანი ხელი აქვს, განსხვავებული პეწით გამოირჩევა მისი დამუშავებული დეტალი. ამას წინათ პარტიაში მივიღეთ, მე მივეცი რეკომენდაცია, აბა ჩემზე უკეთ ვინ იცნობდა...

ხიდისთავის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა მანანა მკერავთა კოლექტივში. ემარჯვებოდა ნემსი და ძაფი. კიდევ ერთი გატაცება ჰქონდა ბავშვობიდან, არავის რომ არ უმხელდა — სწავლისაგან თავისუფალ დროს ქალაღლდებისა და ძველმანებისაგან თარგებს ჭრიდა, მერე ერთმანეთზე აკოწწიებდა. მაშინ არ იცოდა, რომ ამ საქმეს უფროსებიც ასრულებდნენ და ამ პროფესიის ადამიანს მხატვარმემოდელე ერქვა...

კოლექტივს ძალიან შეეთვისა, დამრიგებელთან მისი ურთიერთობა ხომ მთლად დედაშვილობის მადლით შეზავდა. დღეს თავად ჰყავს მოწაფეებიც და მიძღვერებიც. უპირველესად საქმის სიყვარულს უნერგავს ყველას, საკუთარი ნაწარმით თავმოწონების გრძნობის გამომუშავებას აძლევს კიდევ დიდ მნიშვნელობას.

მანანა ძალიან ქმაყოფილია სიახლით — გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების შექმნით. ვინც ქსოვილს ქსოვს, მისგან თვითონვე უნდა შეკეროს პროდუქციაო, — ასე ფიქრობს. საერთოდ, ადამიანი საქმეს ხელს რომ ჰკიდებს, იმთავითვე უნდა ფიქრობდეს საბოლოო შედეგზე. აქამდე რა ხდა? ხალხი ქსოვილს მოქსოვდა და მორჩა, მათი საქმე აქ თავდებოდა. რანაირი პროდუქცია გამოვიდოდა მათი ნახელავიდან და როგორ მიიღებდა მას მომხმარებელი, არავის ედარდებოდა. ახლა ყველა ერთი საბოლოო მიზნის აღმსრულებლები ვართ. აშკარად ვხედავ, რომ ფეიქრებმა გააუმჯობესეს მუშაობა, უკეთესი ხარისხის ქსოვილს უშვებენ, ისინი ბევრებიან, ეს თქვენ, მკერავებმა აიმაღლეთ პროფესიული ოსტატობის დონეო. ერთიც არის და მეორეც. მაგრამ ჯერ მხოლოდ დასაწყისია. მომხმარებლის გემოვნებას, მოთხოვნილებას უფრო მტკად რომ გავითვალისწინებთ, მაშინ

მხატვარ ო. ჩუბინიძის ნახატი.

უკეთეს პროდუქციას გამოუშვებთ.

მანანა ფიქრობს, ეძიებს...

ამას წინათ ერთი იდეა მოუვიდა. პარტიულ კრებაზე გაუზიარა თანამოსაქმეებს. ჩვენი წარმოების საქმეები წადმა მიდის, ქალის ტანსაცმლის ახალი მოდელები შევამუშავეთ, ბევრი პერსპექტიული ჩანაფიქრიც გვაქვს, ურიგო არ იქნება, თუ გაერთიანების კულტურისა და ტექნიკის სასახლეში ჩვენი პროდუქციის გამოფენა-ჩვენებას მოვაწყობთ, ეს მარტო ტანსაცმლის კულტურის პროპაგანდა კი არა, ჩვენი კომუნისტების, მთელი კოლექტივის საქმიანობის საჯარო დათვალიერებაც იქნებაო.

სულ მალე კულტურისა და ტექნიკის სასახლეში სამკერვალო წარმოების კოლექტივის ნახელავის გამოფენა გაიხსნა და იქვე, შთაბეჭდილებათა წიგნში, ნახელავის შეფასების პირველი საგულისხმო სტრიქონებიც გაჩნდა...

ყველაფერი კარგი, მაგრამ... მანანა ბავშვობის ოცნებას არ ეშვება. კარგად ხედავს, გრძნობს თანამედროვე მოდის განვითარების ტენდენციებს, იცის თანატოლთა, და არა მარტო. მათი, გემოვნება, მიდრეკილება და სურს საკუთარი მოდელები შესთავაზოს მათ. ახლა უკვე ნამალავი აღარ არის ოცნება, ყველამ იცის მისი გულისნადები.

ნარკვევი „ერთ ჭერქვეშ“, რომელიც გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების მშრომელთა საქმიანობას გაგაცნობთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ გაზეთის შეორე გვერდზე.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ☐ მოვლენა ☐ კომენტარი

70

მალე მთელი ჩვენი ქვეყანა იდღესასწაულებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს. რედაქციაში განუწყვეტლივ მოდის ინფორმაციები და დეპეშები, რომლებიც გვაუწყებენ, თუ რა წარმატებებით ეგებებიან რესპუბლიკის მშრომელები ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს.

წარმატებით დაგვირგვინდა აპარის მეჩაიეთა თავდადებული შრომა, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს: მათ 18 სექტემბრისათვის შეასრულეს წლიური გეგმა. გათვალისწინებული 71.065 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 71.225 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც დავალების 100,2 პროცენტს შეადგენს. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოკრეფილია 21.425 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

▲▲

საჩხერიდან გვაცნობეს, რომ აქაურმა მეეცხოველეებმა და მებოსტნეებმა ხუთწლედის ორი წლის გეგმები და ვალდებულებები ვადამდე შეასრულეს. 5.100 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 5.211 ტონა რძე. იყოჩაღეს მებოსტნეებმაც. მათ 600 ტონის ნაცვლად აწარმოეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 685 ტონა ბოსტნეული.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გადაწყვიტეს ოქტომბრის საიუბილეო დღეებში შეასრულონ აგრეთვე ხილისა და ხორცის დამზადების ორი წლის ვალდებულებები.

▼▼

სიღნაღის რაიონის მეზვერეებმა წლეულს 38.000 ტონა ყურძნის დამზადება იკისრეს. მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ უკლებლივ დაამბინონ ის მოსავალი, რომელიც სეტყვას გადაურჩა.

რაიონში სულ მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 20.066 ტონა ყურძენი, რაც წლიური გეგმის 51 პროცენტია და ამასთან შაქრიანობაც ერთობ მაღალია. მევენახეთა საერთო წარმატებაში დიდია საჯარო ბრიგადების წვლილი. ერთ-ერთი მოწინავეა ის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ღვედაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ გუშინ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და გადაწყვიტა დამატებით ათობით ტონა ყურძენი მოკრიფოს.

პატივს მიაგებს მთელი ქვეყანა

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართება 28 ოქტომბერს თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. იგი დაადგინა-გვინახს ქართველი ერის დიდი შვილის, რეალისტური ლიტერატურის ფუძემდებლის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის აღსანიშნავ საიუბილეო ღონისძიებებს.

ეს ინფორმაცია გააკეთეს ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის 21 სექტემბერს გამართულ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. პატიაშვილი.

საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადყოფნის შესახებ ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ცაცანაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. მოლაშვილმა, საქართველოს

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 22 სექტემბერს გამართულ სხდომაზე მოისმინა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში. აღინიშნა, რომ გარკვეული დადებითი ძვრების მიუხედავად, ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ იძლევა სასურველ შედეგებს. ქალაქ ტყიბულის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებს ჯერ კიდევ მთლიანად არ შეუგნიათ აქტიური სოციალური პოლიტიკის — დაჩქარების დიდი რეზერვის — განხორციელების მნიშვნელობა, განხორციელებული ღონისძიებანი არ არის საკმარისად თანამიმდევრული, არ შეესაბამება დაგროვილი პრობლემების სირთულესა და სიმწვავეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ტყიბულის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა სრული და დროული შესრულება, ვერ მიაღწიეს გარდატეხას ამ საშიშ სოციალურ მოვლენათა ამოძირკვისათვის მუშაობაში. ადმინისტრაციული ორგანოები არ ახორციელებენ ოპერატიულ და ამომწურავ ღონისძიებებს, რათა დაადგინონ და გადაკეტონ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოტანისა და გასაღების არხები, სახალხო განათლების ორგანოები, სამედიცინო დაწესებულებანი კი არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს პროფილაქტიკური და სამკურნალო მუშაობის ორგანიზაციაში.

საკმარისად აქტიური არ არის საზოგადოებრიობის, შრომითი კოლექტივების როლი ნარკომანიის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მუშაობა, რომელსაც საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოები ეწევიან ნარკომანიის აღმოფხვრისათვის, ცხოვრების ფხიზელი წესის დამკვიდრებისათვის არასაკმარისად ცნო და დასახა ღონისძიებათა პროგრამა, რომელთა მიზანია რესპუბლიკაში ვითარების გაჯანსაღება.

განიხილეს აგრეთვე საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპანიები ლოგისტიკურ-ტექნიკური მომარაგების, ფასიანი ნაწილის ბაზრის ორგანიზაციებში. საქართველოს კომპარტიის თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, რუსთავის, ცხინვალის საქალაქო, ზესტაფონის, ლაგოდეხის, გეგეჭკორის, ვანის რაიონულ კომიტეტებს მიეცათ მითითება გააძლიერონ პარტიული მომთხოვნელობა ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც ურიგდებიან სახელმწიფო დავალებების ჩაფუშვას.

კომტროლის განხორციელების წესით განიხილეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის საკითხებზე სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა სრული და დროული შესრულება, ვერ მიაღწიეს გარდატეხას ამ საშიშ სოციალურ მოვლენათა ამოძირკვისათვის მუშაობაში. ადმინისტრაციული ორგანოები არ ახორციელებენ ოპერატიულ და ამომწურავ ღონისძიებებს, რათა დაადგინონ და გადაკეტონ ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემოტანისა და გასაღების არხები, სახალხო განათლების ორგანოები, სამედიცინო დაწესებულებანი კი არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს პროფილაქტიკური და სამკურნალო მუშაობის ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ბიურომ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს (თ. ი. უჩინაშვილი), თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის დირექციისა და პარტიულ ორგანიზაციას (ვ. შ. ჯაფარიძე, ა. გ. გნოლაძე) დაავალა საწარმოს საქმიანობის ყველაფიციური ანალიზის საფუძველზე განახორციელონ ეკონომიკური ბერკეტების გავლენის შემდგომი გაძლიერების, პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს დარგის ყველა საწარმოში ეკონომიკური ექსპერიმენტის გავრცელებისა და მისი მიმდინარეობისადმი კონტროლის განხორციელების საკითხი.

სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვლის პლენუმის მითითებების შესაბამისად მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოთა (გაერთიანებათა) და ორგანიზაციათა გადაყვანის შესახებ“.

განიხილეს აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკაში გამართული დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული სკოლების მოსწავლეთა პირველი საკავშირო ასპარეზობის შედეგები. მოიწონა რა მთლიანად საორგანიზაციო კომიტეტის, რესპუბლიკის იმ ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობა, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, ბიუროომ განსაზღვრა 1988 წლის მეორე საკავშირო ასპარეზობისათვის ნორჩ სპორტსმენთა მომზადების ამოცანები. ყველა დაინტერესებულ ორგანოს წინადადება მიეცა გაანალიზოს ასპარეზობის მომზადებისა და მოწყობის შეძენილი გამოცდილება და დასახოს რესპუბლიკაში ბავშვთა და ჯაბუკთა სპორტის შემდგომი განვითარების გზები.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

რთველია, რთველი!

უკვე ორი კვირაა, მასობრივად გაჩაღებულა რთველი წითელწყაროს რაიონში. შერჩევითი კრეფა კი აქ უფრო ადრე, აგვისტოს დამლევს დაიწყო. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის მშრომელებს გაეგზავნათ რაიონში მოწეული 2 ათასი ტონა ყურძენი, სულ კი სავაჭრო ქსელში 7 ათას ტონაზე მეტი გაიგზავნება.

აქაური მევენახეები წლეულს სახელმწიფოს 65 ათას, ანუ ვეგმის გადაჭარბებით 5 ათას ტონაზე მეტ ყურძენს ჩაბარებენ.

ახლა დიდი თუ პატარა ზვრებშია გასული — ყოველდღე 3 ათასზე მეტი კაცი ტრიალებს ვენახში. დღეში დაახლოებით 1800 ტონამდე ყურძენი იკრიფება, ხოლო, როცა რთველი ძალაში შევა, 2500 ტონაზე მეტიც მოიკრიფება.

— მეოთხე წელია ზედიზედ ჩამოდიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ჩვენთან, — გვეუბნება წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი აკაკი გაგაძე. — ისინი „ჩემს ზვრებშიც“ ტრიალებენ ახლა. ნუ გაგიკვირდებათ, პარტიული კომიტეტის მდივნად არჩევამდე ბრიგადირად ვმუშაობდი და კარგად ვიცი, რაოდენ გამამხნევებელია რთველში ამ ხალისიანი და გამრჯე ახალგაზრდების მხარდამხარ შრომა. არადა, სამუშაო, მართლაც რომ, შრომატევადია. გეგმით 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი უნდა მოვიწიოთ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ახალგაზრდობა

რეპორტაჟი ნომერზე

რთველია, რთველი!

უკვე ორი კვირაა, მასობრივად გაჩაღებულა რთველი წითელწყაროს რაიონში. შერჩევითი კრეფა კი აქ უფრო ადრე, აგვისტოს დამლევს დაიწყო. ამ ხნის მანძილზე რესპუბლიკის მშრომელებს გაეგზავნათ რაიონში მოწეული 2 ათასი ტონა ყურძენი, სულ კი სავაჭრო ქსელში 7 ათას ტონაზე მეტი გაიგზავნება.

აქაური მევენახეები წლეულს სახელმწიფოს 65 ათას, ანუ ვეგმის გადაჭარბებით 5 ათას ტონაზე მეტ ყურძენს ჩაბარებენ.

ახლა დიდი თუ პატარა ზვრებშია გასული — ყოველდღე 3 ათასზე მეტი კაცი ტრიალებს ვენახში. დღეში დაახლოებით 1800 ტონამდე ყურძენი იკრიფება, ხოლო, როცა რთველი ძალაში შევა, 2500 ტონაზე მეტიც მოიკრიფება.

— მეოთხე წელია ზედიზედ ჩამოდიან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ჩვენთან, — გვეუბნება წითელწყაროს რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი აკაკი გაგაძე. — ისინი „ჩემს ზვრებშიც“ ტრიალებენ ახლა. ნუ გაგიკვირდებათ, პარტიული კომიტეტის მდივნად არჩევამდე ბრიგადირად ვმუშაობდი და კარგად ვიცი, რაოდენ გამამხნევებელია რთველში ამ ხალისიანი და გამრჯე ახალგაზრდების მხარდამხარ შრომა. არადა, სამუშაო, მართლაც რომ, შრომატევადია. გეგმით 10 ათას ტონაზე მეტი ყურძენი უნდა მოვიწიოთ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

მოგება ძირითადი ეკონომიკური კატეგორიაა

საბანკო სისტემის რეფორმა

გარკვეულ წლებში ქვეყნის ეკონომიკაში რაოდენობრივი მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევის ნეგატიურმა ტენდენციამ დაიჩინა საბოლოო ფინანსური შედეგები, დაეცა ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის — მოგების როლი და მნიშვნელობა. გაუარესდა საგადასახადო დისციპლინა, რამაც ძალიან შეასუსტა სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტნიორების ბანკებისა და თვით საკუთარ მუშა-მოსამსახურეთა წინაშე. ამიტომ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის, ამ საკითხთან დაკავშირებული პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად **აუცილებელი გახდა მთელი საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, რადიკალური რეფორმა.**

არსებულმა საბანკო სისტემამ, დაკრედიტებისა თუ ანგარიშსწორების მოქმედმა წესებმა, მანეთით კონტროლის საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმმა ირაციონალურ ტენდენციების აღკვეთა, უყაირათობის ალაგმვა და პროგრესული, დადებითი ფინანსური შედეგებით გარანტირებული ღონისძიებების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა, არამედ ფაქტობრივად მეურნეობის გაუმართლებელი ფინანსური გარღვევების ჭარბი საკრედიტო რესურსებით ამოვსების მანკიერი პრაქტიკა წარმოშვა. წინა ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის საბალნო მეურნეობაში დაბანდებული მოკლეგადიანი კრედიტების ზრდის საშუალო წლიური ტემპი სამჯერ აღემატებოდა მეურნეობის ძირითადი შეფასებითი მაჩვენებლების ზრდის ტემპს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა საკრედიტო დაბანდებათა ეფექტიანობა, ჩრდილში მოექცა კრედიტის, როგორც სოციალისტური ეკონომიკური კატეგორიის, ძირითადი პრინციპები — უზრუნველყოფადობა და დაბრუნებადობა. სახბანკის სესხებით ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ ცალკეულ პერიოდში 1,5 მილიარდ მანეთს მიაღწია. საკრედიტო ზემოქმედების ზომების გამოყენებამ უკიდურესად ფორმალური ხასიათი მიიღო. კრედიტმა პრაქტიკულად დაკარგა თავისი არსი და დანიშნულება.

საკრედიტო რესურსების შეუზღუდობის ილუზიამ კიდევ უფრო განავითარა სხვისი მომზედეობა, ფულადი ბრუნვის არხების ზედმეტი საგადასამხდელო საშუალებებით გადატვირთვამ გაართულა ეკონომიკის მატერიალურ-ნივთობრივი და ფინანსური დაბალანსება, სერიოზული პრობლემები შეიქმნა ქვეყნის ფულის მიმოქცევაში.

თვით სახბანკო სისტემა მეტად მოუქნელი გახდა, სრულად ვეღარ ითვალისწინებდა უზარმაზარი და მეტად მრავალმხრივი სახალხო მეურნეობის დარგებისა და სფეროების თავისებურებებს. საკრედიტო ბერკეტები და სტიმულები, ფაქტობრივად, ვეღარ ასრულებდა გაფართოებული კვლავწარმოების, რესურსებისა და საწარმო პოტენციალის რაციონალური გამოყენების მართვის ინსტრუმენტის ფუნქციას.

იმ პირობებში, როდესაც ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და გაერთიანებების, საწარმოების, სხვა ორგანიზაციების ინვენსტიცია ორგანულ ურთიერთკავშირშია, მათი სხვადასხვა ბანკების მეშვეობით დაკრედიტება და დაფინანსება ზღუდავს ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობას.

სსრ კავშირის სახბანკისა და შემნახველი სალაროების მუშაობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს, საკმარისად არ გამოიყენება მოქალაქეთა საკრედიტო და საკასო მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები.

და კიდევ ერთი: ბანკის მუშაკთა შრომის ანაზღაურება არ შეესაბამება დაკისრებული მოვალეობისა თუ პასუხისმგებლობის ზომას. რაც მთავარია, პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე მასტიმულირებელი ურთიერთკავშირი მათს ძირითად საქმიანობასა და სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისა თუ საწარმოების საბოლოო შედეგებს შორის.

ყოველივე ამან წამოჭრა **მთელი სახბანკო სისტემის ძირეული რეორგანიზაციის ობიექტური აუცილებლობა** და ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი გადაიჭრა კიდეც საკანონმდებლო დონეზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის ივლისის დადგენილებით **„ქვეყანაში ბანკების სრულყოფისა და ეკონომიკის ეფექტიანობაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.**

ამ დადგენილებით უნდა გაიზარდოს კრედიტისა და ფულის მიმოქცევის როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში. გაძლიერდეს მათი ზემოქმედება სახალხო მეურნეობის დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და ეფექტიანობის ზრდაში.

იცვლება ბანკების საქმიანობის მიმართულება და ფორმები, ძლიერდება, ეკონომიკურ მეწარმეობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სსრკ სახმომარაგების სისტემების მოკლევადიან დაკრედიტებას, დაფინანსებას, გრძელვადიან დაკრედიტებასა და ანგარიშსწორებას.

რაც შეეხება სსრკ აგროსამრეწველო ბანკს, იგი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში სსრკ მრეწველობისა ანალოგიურად ისაქმიანებს.

სსრ კავშირის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი ანხორციელებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაქვემდებარებული მეურნეობების, აგრეთვე კოოპერატიული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროს დაკრედიტებას, დაფინანსებასა და ანგარიშსწორებას.

სსრ კავშირის მოსახლეობის შრომითი დანაზოგებისა და დაკრედიტების ბანკი უზრუნველყოფს საშემნახველო საქმის ორგანიზაციას, მოსახლეობას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უნაღდო ანგარიშსწორებასა და დაკრედიტებას, სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გავრცელებასა და აღფაურვას, მოქალაქეთა სამომხმარებლო საჭიროებათა დაკრედიტებას.

ამასთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი რჩება ქვეყნის მთავარ ბანკად, რამდენადაც უზრუნველყოფს ფულად-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებულ გეგმიან მართვას, საკრედიტო ოპერაციების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარებას, ბანკების საქმიანობის კოორდინაციას, ერთიანი საემისო, საკასო და საანგარიშსწორებო ცენტრის, სახალხო მეურნეობაში საკრედიტო ურთიერთობათა ორგანიზატორისა და კოორდინატორის ფუნქციის შესრულებას, სსრკ სახბანკი შეიმუშავებს და წარადგენს სსრკ მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად ბანკების მიხედვით განაწილების გეგმებს.

ამ მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციების შესასრულებლად სსრკ სახბანკს მინიჭებული აქვს უფლება სპეციალიზებულ ბანკებთან ერთად ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე განსაზღვროს ყველა ბანკისთვის შესასრულებლად აუცილებელი და დაკრედიტების ობიექტების შემადგენლობა, კრედიტების გაცემისა და დაფარვის პირობები.

სსრკ დარგობრივი ბანკები შესაბამის ბანკებს შექმნიან მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. მხარეებსა და ოლქებში შეიქმნება ბანკების სამმართველოები; ბანკების განყოფილებებგ იქნება იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ეს საჭიროა. ამასთან, ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არ შეიქმნება რომელიმე სპეციალიზებული ბანკი, შესაბამისი საფროს საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურება განხორციელდება სსრკ სახბანკის ან სხვა რომელიმე ბანკის დაწესებულებების საკორესპონდენტო ურთიერთობების საფუძველზე ან რწმუნებულების მეშვეობით.

ყველა ახლად შექმნილ რესპუბლიკურ ბანკს რესპუბლიკური სამინისტროების უფლებები ექნება.

მეურნეობასთან საკრედიტო ურთიერთობის დამყარებისას ბანკებმა ზუსტად უნდა დაიცვან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ფართოდ გამოიყენონ საკრედიტო ურთიერთობათა პრინციპულად ახალი ფორმები, ამასთან განუხრელად მისდიონ დაკრედიტების პრინციპებს: გეგმიან-მიზნობრიობა, უზრუნველყოფილობა, ვადიანობა, დაბრუნებადობა და ფასიანობა.

მიმდინარეობს დაკრედიტების წესების უნიფიცირება და გამარტივება, გაცილებით ოპერატიული ხდება დაკრედიტების პროცესი, მეურნეობასთან საკრედიტო ურთიერთობა ყველა შემთხვევაში დამყარდება ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ურთიერთვალდებულება და ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაუშვებლად მიიჩნია კრედიტის გამოყენება მეურნეობის ხანგრძლივი ფინანსური გარღვევების გადასაფარავად. ბანკები შეწყვეტენ იმ სამეურნეო ორგანიზაციათა დაკრედიტებას, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სესხის დაბრუნების ვადებს. იმასთან დაკავშირებით, რომ 1988 წელს ამოქმედდება კანონი სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, ბანკის დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გადაიყვანონ დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც ზარალით მუშაობენ, სისტემატურად არღვევენ ბიუჯეტთან, ბანკებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სვავს გაერთიანებებისა და საწარმოების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის საკითხს.

იზრდება საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ბანკების დაწესებულებათა მმართველებს უფლება მიეცათ გაუზარდონ ან შეუტანონ საპროცენტო განაკვეთები სესხით სარგებლობისთვის იმის მიხედვით, თუ როგორ იცავს სამეურნეო ორგანიზაცია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საგეგმო მარაგს, რამდენად აჩქარებს და ინარჩუნებს საბრუნავ სახსრებს, როგორ ასრულებს სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

იმისათვის, რომ სრულად განხორციელდება სოციალური სამართლიანობის პრინციპი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ბანკის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება და გაძლიერდეს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგების მისაღწევად, ბანკები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადადიან. ამასთან დაკავშირებით ბანკების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი ხდება მოგება, რომლიდანაც გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე შეიქმნება საწარმოო, სოციალური განვითარებისა და მატერიალური წახალისების ფონდები.

მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის დაბალანსების და ამ ბაზაზე ფულის მიმოქცევის განმტკიცების უზრუნველსაყოფად მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში დამტკიცდება მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის ბალანსები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების საკასო გეგმები. აღნიშნული გადაწყვეტილება უფრო სგაბრიელ და მიზნობრივ გახდის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას.

დღეს მთელ ქვეყანაში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს ბანკების რეორგანიზაციის მეტად რთული პროცესი, რომლის წარმატებით დამთავრება საშუალებას მისცემს ბანკებს გარდაქმნან საქმიანობა პარტიისა და მთავრობის ეტაპობრივი დადგენილებების შესაბამისად.

ვ. კაპანაძე,
სახბანკის რესპუბლიკური კანტორის მმართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველია, რთველი!

(ბაბრძელება)

ამიტომ, სტუდენტები რომ არა, გაგვიჭირდებოდა, ისინი ხომ დღეში 80 ტონაზე მეტ ყურძენს კრეფენ, რაც კოლმეურნეობის დღიური ნორმის თითქმის ნახევარია.

წლეულს ერთობ გაგვირთულდა საქმე. ზაფხულში ერთხელაც არ გაწვიმებულა და წყალს ალაზნიდან ვტუმბავდით. ეს უკვე მეორე წელია, რაც სარწყავი სისტემა ავამოქმედეთ და მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩვენი ხალხი დღედაღამ ზვრებში ტრიალებდა. როგორც ხედავთ, გარჯას ამაოდ არ ჩაუვლია — ჰექტარზე 8-9 ტონა რქაწითელს ვკრეფთ, თუმცა გაგონილს ნახული სჯობია, წამორძანდით და თავადვე დარწმუნდებით ამაში.

...გზადაგზა ბევრი რამ გავიგეთ — როგორ ბეჯითობენ მევენახეები, რა საგანგებოდ მომზადებულან სტუდენტების დასახვედრად. 300 კაციანი გათვალისწინებული სასადილო აუგიათ და დიდი ფარდულიც გაუმართავთ, ახალგაზრდების გართობისა და შინაარსიანი დასვენების თითქმის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. საცურაო აუზიც კი დაასვედრეს.

...საკუთარი „დიასახლისებიც“ გვყავსო, ხუმრობენ ბიჭები, და ჩვენც სამზარეულოსკენ მივეშურებით სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტების მარინე კიკალიასა და მარინე მეტრეველის გასაცნობად.

— ვაჟებზე ნაკლები ჯაფა როდი გვადგას, — ეღიმებათ გოგონებს, — ხუმრობა ხომ არ არის, ყოველდღე 260 „ვაჟბატონს“ უმზადო კერძები!..

და რაც ყველაზე მეტად ახარებთ, თურმე ჯერაც არც ერთს არ დაუწუნია მათი მომზადებული სადილ-ვახშამი.

(დასასრული მე-3 გვ.)

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის „ინდუსტრია ადამიანისთვის“ ასოციაციამ

დადეს ხელშეკრულება

თბილისსა და სოფიაში მოდური ნაწარმის წვრილ პარტიებად რეალიზაციის შესახებ. ქართველ არქიტექტორთა მიერ გაფორმებულ სოფიის სალონებში წარმოდგენილი იქნება ჩვენი დიზაინერების მოდელების მიხედვით შექმნილი ნაწარმი.

ბულგარელ დიზაინერთა მოდელებით შექმნილი მოდური ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი თბილისელებს შეუძლიათ შეიძინონ სალონებში, რომლებიც ეწყობა ლესელიძის ქუჩაზე ერთ-ერთ რესტავრირებულ უბანში.

ბულგარელ კოლეგებთან თანამშრომლობა, პირდაპირი კონტაქტები ორივე მხარეს რესურსების უკეთ მანეგრირების საშუალებას მისცემს.

თბილისში სალონები „თბილისობის“ დღესასწაულისათვის გაიხსნება.

▼▼

შავაშვილის საბჭოთა მეურნეობამ 4200 მანეთი გამოყო. იმისათვის, რომ სოფლის მკვიდრთ გორში ალარ ეგლოთ წამლებისათვის და თავისსავე ტერიტორიაზე აგო

ახალი აფთიაქი

იგი მომარაგებულია მზა წამლებით და დაკვეთებსაც იღებს. შენობას აქვს კეთილმოწყობილი მოსაცდელი, საასისტენტო, ასეპტიკური ბლოკი და სხვა დამხმარე სათავსები.

მიეცით საპატიო წოდება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მარქსიზმ-ლენინიზმისა და სკკპ პოლიტიკის პროპაგანდის გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

არჩილ ჯახუს ძე არქანიას — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის მზიურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომს, პროპაგანდისტს,

ალექსანდრე ოგანეზის ძე ზულინიანს — თბილისის 96-ე საშუალო სკოლის დირექტორს, პროპაგანდისტს,

გიორგი კონსტანტინეს ძე ოსელიანს — ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსს, პროპაგანდისტს,

ნოვასილის ძე კულაევს — აფხაზეთის პუროროდუქტებისა და კომბინატებული საკვების მრეწველობის სამმართველოს კადრებისა და სპეცნაწილის განყოფილების უფროსს, პროპაგანდისტს,

შოთა მათეს ძე ოსეფაშვილს — ყვარლის რაიონის ჭიკანის საშუალო სკოლის მასწავლებელს, პროპაგანდისტს,

ნინელი ილიას ასულ რატიანს — სსრ კავშირის მუუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს,

ალექსანდრეს ძე საჯაიას — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მართვის ცენტრის განყოფილების გამგეს, პროპაგანდისტს,

არსენ ალექსანდრეს ძე უდესიანს — მესტიის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელს, სემინარის ხელმძღვანელს,

ვლადიმერ ილიას ძე ქევხიშვილს — საქართველოს სსრ სახაგრომრეწველის მიწათმოქმედების ინსტიტუტის კახეთის საცდელი სადგურის დირექტორს, სემინარის ხელმძღვანელს,

მაყვალა მიხეილის ასულ ქერდუკაშვილს — გორის რაიონის სკრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, პროპაგანდისტს,

შოთა დავითის ძე ჩაჩანიძეს — ჭიათურის ავტომოყვარულთა საქალაქო საზოგადოების თავმჯდომარეს, პროპაგანდისტს,

თენგიზ კონსტანტინეს ძე ჩიხლაძეს — გარდაბნის ბიოკომბინატის სახელმწიფო კონტროლიორს, პროპაგანდისტს.

2. ერთ ჭერქვეშ

საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება მოაწყო საკავშირო ჟურნალმა „რაბოტნიცამ“. მის მრგვალ მაგიდასთან შეკრებილმა ჩვენი ქვეყნის ცნობილმა მეშინოდელეებმა, მხატვარ-დიზაინერებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, საფეიქრო საქმის სპეციალისტებმა საქმის ცოდნით გააანალიზეს საფეიქრო მრეწველობაში გარდაქმნის მიმდინარეობის პროცესი, მნის მიმდინარეობის პროცესი, სამკერვალო წარმოების პროდუქციაზე, ჩაცმის კულტურის პროპაგანდაზე.

„მრგვალ მაგიდასთან“ გამართულ საუბარში, რომლის ანგარიში ჟურნალმა თავის მერვე ნომერში დაბეჭდა, მონაწილეობდა საბჭოთა კულტურის ფონდის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი რ. გორბაჩოვა.

— შეიძლება თუ არა, — იკითხეს საუბრის მონაწილეებმა, — საფეიქრო მრეწველობაში ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნა, რომლის არსიც ის იქნებოდა, რომ გაერთიანება არა მარტო გამოუშვებდა ქსოვილს, არამედ თავად შეკერავდა და გაყიდდა კიდეც პროდუქციას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა ბ. მაყაშვილმა შეკრებილთა ამცნო, რომ ასეთი ექსპერიმენტი საქართველოში უკვე მიმდინარეობს, კერძოდ, შექმნილია გაერთიანება, რომელიც თავისი გამოშვებული ქსოვილისაგან იქვე, ახალშემოერთებულ სამკერვალო წარმოებაში კერავს ქალის თანამედროვე, მოდურ ტანსაცმელს — კაბებს, კოსტიუმებს. ასე რომ, ფეიქრები და მკერავები — საფეიქრო და სამკერვალო დარგის წარმომადგენლები ერთ ჭერქვეშ ერთად შრომობენ.

ასეთი ექსპერიმენტი (გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში მიმდინარეობს. მისი სახელწოდებაც ახლა უფრო სრულად გამოხატავს საქმიანობის სფეროს — გორის ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ფეიქართა და მკერავთა ერთ ჭერქვეშ, ერთმანეთის გვერდით დაფუძნება ორივე კოლექტივისთვის სასარგებლო გამოდგა.

და მაინც, როგორ „ჩაეწერა“ მკერავთა ეს 140-კაციანი კოლექტივი 15 კომუნისტით ფეიქართა 4.000-წევრიან, 1.230-კომუნისტიან ოჯახში?

— ფეიქრებთან ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანებიდან მოვედით, — ამბობს სამკერვალო წარმოების სამმჭრა პარტორგანიზაციის მდივანი თ. ფაროშვილი, — შეერთება, რასაკვირველია, მექანიკურად არ მომხდარა, ჯერ ცალ-ცალკე, ჩვენ-ჩვენი პარტორგანიზაციების კრებებზე დავსვეთ ეს საკითხი.

კომუნისტებმა სხვადასხვაგვარი პოზიცია დაიკავეს, ზოგს მოსწონდა სიახლე, ყველანი ერთნაირად ვიქნებით დაინტერესებული საბოლოო პროდუქციის სიაჯაგარგოთო; ზოგიც მერყეობდა, ძერეული ჭირის პოზიციას ვერ აღწევდა თავს. ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტეთ. ძნელი დღეები გვქონდა პარტორგანიზაციებს — თითოეულ კომუნისტთან, ყველა მუშაკთან უნდა გვემუშავა, დაწვრილებით განგვემარტა უმნიშვნელო ნიუანსებიც კი.

ზემდგომმა ორგანოებმა დაგვიჭირეს მხარი და... გადაწყდა — ფეიქრები და მკერავები ერთ ჭერქვეშ იმუშავებდნენ. მაგრამ, რასაკვირველია, სამუშაო არ მორჩენილა, მხოლოდ იწყებოდა. სამეურნეო დავალებებთან ერთად გაიზარდა კოლექტივის საზრუნავი, თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის კვალიფიციური შესრულების, ნაწარმის ხარისხისათვის.

ახალ საწარმოში დისციპლინით დაიწყეს. მკაცრად შეუტიეს შრომის დისციპლინის დამრღვევთ. ან კი, სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა! მთ უფრო, რომ ყველაზე მეტ წუნს ის მუშები ეშვებოდნენ, რომლებიც დაგვიანებით მოდიოდნენ სამსახურში, ანდა სამუშაოდან ადრე გარბოდნენ. მკერავებთან და დამმჭრე მუშებთან მ. ქორთიაშვილთან, ლ. ტერუნაშვილთან, ა. მჭედლიშვილთან და სხვებთან ამის გამო სერიოზული საუბარი დასჭირდათ. იმათ, ვისთანაც მეგობრულმა შეგონებამ და გაფრთხილებამ ვერ გაჭრა, პარტორგანიზაციის კრებაზე მოუხდათ პასუხის გაცემა მთელ რიგ კითხვებზე.

რეზერვების კოლექტიურმა ძიებამ, ხარისხის პრობლემის წინა პლანზე წამოწევამ, წუნისმკეთებლებისადმი შეურიგებელმა ატმოსფერომ დადებითი ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს კოლექტივში საკმარისად არ მიიჩნიეს. განსაკუთრებით რთულია ხარისხის პრობლემა. ხშირია ნედლეულის დროულად მოუწოდებლობის, მანქანების კვანძებისა და დეტალების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევები.

ეს საკითხი პარტორგანიზაციის კრების დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა. და აი, პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაციით ჩამოყალიბდა ხარისხისა და ეფექტიანობის ჯგუფი, რომელმაც საზოგადოებრივ საწყისებზე გაერთიანა მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რათა გამოეძებნათ საკვანძო საწარმოო პრობლემების გადაწყვეტის გზები.

ასეთი პრობლემები კი კოლექტივში უკვე დაგროვილიყო. მაგალითად, წარმოების რიტმულობის გაუმჯობესება, უმაღლესი ხარისხის კატეგორიის ნაწარმის გამოშვების გაფართოება, რესურსების რაციონალური ხარჯვა და სხვ.

თვის გათვალისწინებული სასადილო აუგიათ და დიდი ფარდულიც გაუმართავთ, ახალგაზრდების გართობისა და შინაარსიანი დასვენების თითქმის ყველა პირობა აქვთ შექმნილი. საცურაო აუზიც კი დაასვედრეს.

...საკუთარი „დიასახლისებიც“ გვყავსო, ხუმრობენ ბიჭები, და ჩვენც სამზარეულოსკენ მივეშურებით სატყეო მეურნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტების მარინე კიკალიასა და მარინე მეტრეველის გასაცნობად.

— ვაჟებზე ნაკლები ჯაფა როდი გვადგას, — ეღიმებათ გოგონებს, — ხუმრობა ხომ არ არის, ყოველდღე 260 „ვაჟბატონს“ უმზადო კერძები!..

და რაც ყველაზე მეტად ახარებთ, თურმე ჯერაც არც ერთს არ დაუწუნია მათი მომზადებული სადილ-ვახშამი.

(დასასრული მე-3 გვ.)

მარში საბრძოლო პოზიციებზე

როგორც წინათ ვიუწყებოდით, 22-27 სექტემბერს ამერიკავკასიის ტერიტორიაზე გარდაბნის, აქსტაფის, ვეგტების, საგარეჯოს რაიონში ეწყობა ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნა. მოწინააღმდეგე მხარეები, რომელსაც „აღმოსავლელები“ და „დასავლელები“ ეწოდებათ, აწყობენ მარშს მთის რთულ პირობებში. თავმოყრის რაიონში ახლა ხორციელდება ჯარების მომავალი მოქმედების საბრძოლო, მატერიალურ-ტექნიკური და საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებები, შტაბები აანალიზებენ შექმნილ ვითარებას, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში გაიშალა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც პირად შემადგენლობას სასწავლო-საბრძოლო ამოცანების სანიმუშო შესრულებისათვის რაზმავს.

...ჯერ არც კი ეროიერაჟა, მოტომსროლელი ქვეითი ჯარის — ოლქში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის საბრძოლო მანქანები კი გზას დაადგნენ. ციცაბო უღელტეხილები და მთის ფერდობები ყველაზე კარგად გაიარეს ბატალიონის მეომრებმა, რომელსაც მაიორი შალვა ჯალაღანია მეთაურობს. ამ გამოცდილმა ოფიცერმა წინასწარ იზრუნა იმისათვის, რომ მისი ხელქვეითები, ტექნიკა მთლიანად მზად ყოფილიყვნენ მთაში სეროიზული გამოცდებისათვის.

მაგალითად, მარშის წინ ქვეგანაყოფში გაიმართა ტექნიკური კონფერენცია, რომელზეც განიხილეს მექანიკოს-მძღოლთა სამთო მომზადების საკითხები. კონფერენციაზე დამსწრეთ თავისი გამოცდილება გაუზიარა ნაწილის საუკეთესო მექანიკოს-მძღოლმა, მეორე კლასის სპეციალისტმა ემზარ მინდიაშვილმა. წლინახევრის სამსახურის მანძილზე მას და მის ამხანაგებს — რიგით ჯარისკაცებს პ. პავლოვს, ა. ალიევს, ე. ალიაროვს, რომლებმაც ასევე ასობით კილომეტრი მთის ციცაბო გზები განვლეს, ბევრი რამ ჰქონდათ საამბობი ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის. მათაც იმედი არ გაუცრუეს. სულ ნახევარი წელია სამხედრო ფორმას ატარებენ რიგითი ჯარისკაცები ვ. ბაღდასარიანი, ა. ბაბაევი, ა. ატაევი და სხვები, რომლებმაც უფროსი ამხანაგების თანაბრად ჩინებულად ჩაბარეს მთაში პირველი სეროიზული გამოცდა.

ადგილებში, სადაც დღეს წვრთნა მიმდინარეობს, 66 წლის წინათ ბრძოლებში თავი გამოჩინეს მეცხრე მსროლელი დივიზიის უფროსმა ნ. ვ. კუტიშევმა, აგრეთვე ი. ქ. ბაგრამიანმა და ი. ს. ისაკოვმა, რომელთაგან პირველი შემდგომში საბჭოთა კავშირის მარშალი გახდა, მეორე კი ფლოტის ადმირალი, ბევრმა სხვამ, წლების განმავლობაში მხედართმთავრები რომ დადგნენ. რევოლუციის იმ ჯარისკაცთა არმიაუ პრესაში, რომელთა ტრადიციებსაც განაგრძობენ ოლქის მეომრები, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე თანამშრომლობდნენ ადამიანები, რომლებმაც უმღერეს რევოლუციას — დიმიტრი ფურმანოვი, პეტრე პავლენკო, ისაკ ბაბელი, კონსტანტინე პაუსტოვსკი, ვლადიმერ ხლებნიკოვი, სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ელიშე ჩარენცი...

გულითადი და გულთბილი იყო საგარეჯოს რაიონის საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შეხვედრა წვრთნის მონაწილე მეომრებთან. მმრომლებმა ილაპარაკეს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომითს წარმატებებზე, თავის მხრივ კი შეიტყვეს, თუ რა მხედრული მიღწევები აქვთ სამხრეთის საზღვრების დამცველებს ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად, გაისმოდა ქართული ეროვნული მელოდიები რაიონის ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების შესრულებით, გამოვიდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლი. მეომრები იყვნენ სოფლის ერთ-ერთ სკოლაში, გამართეს იქ ვაჟკაცობის გაკვეთილები.

გარდაბნის რაიონის მშრომელები კი თვითონ მივიდნენ წვრთნის დამოძღვრეს მეომრები, რომ ღირსეულად შეასრულონ მხედრული ოსტატობის სრულყოფისათვის გამიზნული რთული ამოცანები.

ჯარების თავმოყრა გრძელდება. „აღმოსავლელები“ და „დასავლელები“ სასწავლო-საბრძოლო მოქმედებისათვის ემზადებიან.

(საქინფორმის სპეც. კორ.).

მეთვალყურენი ჩამოვიდნენ

სტოკჰოლმის კონფერენციის დოკუმენტის შესაბამისად, სსრ კავშირის მთავრობამ ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების წვრთნაზე მოიწვია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე 20 სახელმწიფოს მეთვალყურენი.

23 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდნენ 21 სახელმწიფოს მეთვალყურენი. ჩამოსულთა შორის არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, კანადის, დანიის, ესპანეთის, ფინეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიის, ნიდერლანდის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, შვეიცარიის, შვეიციის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, თურქეთისა და იუგოსლავიის მეთვალყურენი.

(საქინფორმ.).

აღმოვფხვრათ გაგონების ოცდღენიები

განვლილ დასვენების დღეებში კვლავ სერიოზულად შეფერხდა რკინიგზის მუშაობა. საქართველოს მთელი რიგი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიზნით, რომლებმაც სატვირთო ოპერაციების გამო შეაფერხეს მოძრავი შემადგენლობა, კვლავ უქმად იდგა ბევრი ათეული ვაგონი. მაგალითად, თუ პარასკევს, 18 სექტემბერს, მთლიანად რესპუბლიკაში ნორმატივის გადაჭარბებით მოცდა 54 ვაგონი, კვირას, 20 სექტემბერს უკვე მოცდა 124 ვაგონი.

**კვლავ არარიტმულად იმუშავეს საქართველოს ს

პატივს მიაგებს მთელი ქვეყანა

(დასასრული)

კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ლოლაძემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ლაღიძემ, საქართველოს გამსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ე. სიხარულიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსმა ი. ციციშვილმა, საქართველოს სახკინოს თავმჯდომარემ ა. დვალიშვილმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა გ. ჯიბლაძემ, ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ვ. ყორყოლიანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჩხიკვიშვილმა.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის იუბილისათვის მზადება ყველგან ორგანიზებულად, აღრე დამტკიცებულ ღონისძიებათა გეგმის თანახმად მიმდინარეობს. ეს ადასტურებს საყოველთაო-სახალხო სიყვარულსა და მადლიერებას დიდი მწერლის, განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწისადმი. **ილია ჭავჭავაძის იუბილეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ყველა: მომძე რესპუბლიკის, საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის ცნობილმა მწერლებმა.** საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში გაიმართება სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს გამსვლელი სხდომა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხალხთა მეგობრობის მუზეუმისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია. გაიმართება მწერალთა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „თანამდროვე ცივილიზაციის ბედი და მსოფლიო ლიტერატურები“.

თბილისის გარდა, საიუბილეო დღესასწაულები მოეწყობა ყველა და საგურამოში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

იუბილეს დღეებში გაიხსნება მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტების სპეციალური გამოფენები, ნაჩვენები იქნება მუდმივმოქმედი გამოფენების განახლებული ექსპოზიციები. იუბილეს დაუკავშირდა მწერლის ნაწარმოებთა გამოშვება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებსა და რამდენიმე უცხოურ ენაზე. დიდი ქართველის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სახლებზე რესპუბლიკის დედაქალაქში გამოიკვრება მემორიალური დაფები. კალინინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო „გაზეთ „ივერიის“ რედაქცია, იქმნება მუზეუმი, ხოლო ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სახლი, სადაც ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა, მემორიალური გახდება. დიდი მწერლის სახელობის პროსპექტზე დაიდგმება მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული ილიას ბიუსტი. ილია ჭავჭავაძის ძეგლი გაიხსნება ბათუმში. მისი ავტორია ელგუჯა ამაშუკელი.

ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა მოამზადეს ფილმი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, კინოთეატრებში ნაჩვენები იქნება აგრეთვე მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული მხატვრული ფილმები.

სხდომაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და რესპუბლიკის მწერალთა კავშირს დაევალათ შექმნან კომპეტენტური კომისია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების შემდგომი შესწავლისათვის.

შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, შემოქმედებით კავშირებსა და ორგანიზაციებს დაევალათ ღონისძიებანი განახორციელონ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, რათა **საქართველოს დიდი შვილის იუბილე გადაიქცეს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ინტერნაციონალური ძმობის ნამდვილ დემონსტრაციად, ქართველი და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაულად.**

რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა ჯ. პატიაშვილმა.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. მარგველაძე.

(საქინფორმი)

გადაეცათ კომკავშირის პრემიები

საქართველოს კომკავშირის პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონია დაემთხვა კიდევ ერთ ღირსსახსოვარ მოვლენას — თვით პრემიის დაარსების მეოცე წლისთავს. ყველას, ვინც ამ საღამოს ახალგაზრდულ კულტურულ-გასართობ კომპლექს „ბერიკონში“ მოვიდა — მათ შორის კი იყვნენ ახალგაზრდები და უფროსები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები — ერთი რამ აერთიანებდა: სხვადასხვა დროს მათ დაიმსახურეს ეს საპატიო ჯილდო იმით, რომ მთელი ძალები, ნიჭი მოახმარეს მშობელი ხალხის სამსახურს, მამულის აყვავებას. აღსანიშნავია, რომ თითოეული მათგანი შემდგომშიც ღირსეულად ატარებდა ლაურეატის წოდებას, კონკრეტული საქმეებით ადასტურებდა ამას.

ამ საღამოს საქართველოს კომკავშირის პრემიების მფლობელთა რიგებს შეემატა 70-მდე ახალგაზრდა მუშა და კოლმეურნე, მეცნიერი, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენელი. ბევრი მათგანის სახელი კარგად არის ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. დიდად პოპულარულია მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის, დრამატურგ შადიმან შამანაძის, ანსამბლ „თაიგულის“ შემოქმედება, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებული მანქანათმშენებლობის პროგრამული მართვის კათედრაზე მოქმედი ახალგაზრდული შემოქმედებითი ჯგუფის ნამუშევრებმა უკვე 500 ათას მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა. აქ მხარდამხარ მუშაობენ მასწავლებლები, ასპირანტები და სტუდენტები.

— საპატიო ჯილდო, — თქვა ამ კოლექტივის ერთ-ერთმა წევრმა, დოცენტმა ხუციშვილმა, — ჯგუფის არა მარტო სამეცნიერო საქმიანობის, არამედ აგრეთვე ახალგაზრდა კადრების აღზრდისათვის მუშაობის აღიარებად მიგვაჩნია.

ჯილდოების გადაცემისას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯემალ მარგველაძემ გულთბილად მიულოცა და ახალი შემოქმედებითი მიღწევები უსურვა ლაურეატებს.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მუშა ელგუჯა ქავთარაძე, წალენჯიხის რაიონის მეჩაიე იამზე კოხაია და სხვები, რომლებმაც პირობა დადეს, რომ კვლავაც თავდადებით იშრომებენ სამშობლოს საკეთილდღეოდ, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკასა და ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესში. (საქინფორმი).

მიეკუთვნა მწერლის სახელი

კახეთი რაიონის სოფელ ალიბეგლოს კულტურის სახლთან არსებულ ქართულ თვითმოქმედ დრამატულ წრეს ჯერ კიდევ 1985 წელს აზერბაიჯანის სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით სახალხო თეატრი ეწოდა.

და აი, სასიხარულო ცნობა მოძმე აზერბაიჯანიდან: კახის რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილებით ამ ქართულ სახალხო თეატრს ილია ჭავჭავაძის სახელი მიეკუთვნა.

27 სექტემბერს ქალაქ კახსა და ალიბეგლოში გაიმართება მწერლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი და დაწესდება ყოველწლიური სახალხო დღესასწაული „ილიაობა“. (საკ. ინფ.).

ახალგაზრდობა

რთველია, რთველი!

(დასასრული)

— ნებისმიერმა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ **რთველი გართობა არ არის, — ამბობს რაზმის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი მიხეილ ჭელიძე. ჩვენი საერთო პრინციპია ყველანაირად დავეფსოთ ღირსეული. ამიტომაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ სამახსოვრო ვიმპელს საბოლოო შედეგების მიხედვით ყოველდღიურად გადავცემთ საუკეთესო მერთველეს.** თითოეული გამარჯვებულის ავტოგრაფებიანი ვიმპელი საბოლოოდ ჩვენი მშობლიური ინსტიტუტის ისტორიის მუზეუმში დადებს ბინას.

სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის მეორე კურსის სტუდენტს ამირან მახარაძეს, რომელმაც ერთ დღეს 1520 კილოგრამი ყურძენიც კი მოკრიფა, უკვე არაერთხელ მოუპოვებია ეს ჯილდო.

ამირანი ბავშვობიდანვე აზიარეს შრომას მშობლებმა — ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში მცხოვრებმა გამრჯე კოლმეურნეებმა გულიკო და ალექსანდრე მახარაძეებმა, რომლებმაც ათი შვილი აღუზარდეს ქვეყანას. კოლმეურნეობის გამგეობამ და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ საგანგებოდ გვთხოვეს მათი სახელით მადლობა გადავუხადოთ მახარაძეებს ასეთი მუყაითი და წესიერი შვილის აღზრდისათვის.

ფ. კრიმსკი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲚ

ᲘᲚᲘᲐ ჭავჭავაძეს ბრძოლა უხდებოდა ორ ფრონტზე. ერთი მხრივ, იგი ებრძოდა მრისხანე ცარიზმს და მის აპოლოგეტებს, ყველა ამ კატკოვებს, იანოვსკებსა და სენკოვსკებს, ხოლო მეორე მხრივ ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის გადაგვარებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ცარიზმს ელაქუცებოდნენ და თავიანთ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, ერის საკეთილდღეოდ კი ხელსაც არ აძძრევდნენ.

ქვემოთ შეეცდებით გავაცნოთ მკითხველს ამ ბრძოლის ზოგიერთი დამახასიათებელი ეპიზოდი. მაგრამ მანამდე ორიოდე სიტყვით გვინდა გადმოვცეთ ილიას თვალსაზრისი ისეთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე, ფორიც არის „საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა და პროგრესული რუსული კულტურის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

„რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა“

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲕᲘ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲐᲛᲔᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ.

ი. ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ ირან-თურქეთის დამღუპველი გავლენისაგან განთავისუფლებული საქართველოს შემდგომი წინსვლა-განვითარება შეაძლებელი იყო მხოლოდ რუსეთის პროგრესული ძალების დახმარებით. ამით აიხსნება, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი დიდი პატივით და სიყვარულით იხსენებდა ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და სხვა გამოჩენილ რევოლუციურ დემოკრატებს, სახელოვან მწერლებსა და პოეტებს, პუშკინს, ლერმონტოვს, გოგოლს, ნეკრასოვს, ტოლსტოის, ალტიკოვ-შჩედრინსა და სხვებს.

ილია ხედავდა ორ რუსეთს: მეფისა და მისი მოხელეების რუსეთს — „ხალთა საპარობლეს“ და პროგრესულ რუსეთს — ბელინსკისა და პუშკინის რუსეთს. პირველი სასტიკად ყძულდა და გააფთრებითაც ებრძოდა მას, ხოლო მეორეს უდიდეს პატივს სცემდა და ამაყობდა კიდეც, რომ თვითონაც მათ წრეს ეკუთვნოდა.

თუ რა დიდ პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძე პროგრესულ რუსეთს, მის მოწინავე კულტურასა და ლიტერატურას, ეს კარგად ჩანს მისი მრავალრიცხოვანი ნაწერებიდან, კერძოდ კი შემდეგი მესაზღვრე სიტყვებიდან:

„ჭეშმარიტ აზრად, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს ოსტეიერ ძალ-ღონეს შეადგენს და გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაარნია მან თავისი აკვარგიანობა... რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმა ლიტერატურამ მოაწოდა საზიდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულს ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამანარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება: და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადოებისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“.

ძნელია ამაზე უფრო ნათლად და გარკვევით ჩამოაყალიბო რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა საქართველოსათვის, კერძოდ ი. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის. მაგრამ ამასთანავე ერთად ხაზგასმით უნდა ითქვას, **რომ ილიას რუსული ლიტერატურიდან უბრალოდ არ ვამოუღია აზრები და შეხედულებები, არამედ კრიტიკულად აითვისა ისინი, გაატარა რა ინასწარ თავის საკუთარ თვალსაზრდვაში.** ილია ცდილობდა ისეთი აზრები და შეხედულებები მიეღო და ისეთი მოძღვრება შეემუშავებინა, რომელიც შესაფერი იქნებოდა მისი სამშობლოს ცხოვრებისათვის, ხელს შეუწყობდა ამ ცხოვრების მიერ ღღის წესრიგში დასმული უაღრესად მტკივნეული საკითხების გადაწყვეტას და თვით ცხოვრების ძირეულ გარდაქმნას. აი, რას ამბობს ყოველივე ამის შესახებ თვითონ ილია:

„რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსული ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარი კრიტიკის ქარცეცლში გაატარა, ბრძად არ მიიჩეა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წინსვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია“.

როგორც ვხედავთ, აქ ილიას პოზიცია სავსებით ნათლად და მკაფიოდაა გამოკვეთილი, მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: **რა თეორიულ საფუძვლებს ემყარებოდა** დიდი მწერალი, როცა საკუთარი კრიტიკის ცეცხლში ატარებდა და აფოლადებდა თავისთვის საჭირო აზრებს თუ შეხედულებებს? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **რა საზომი ჰქონდა მას რუსული ლიტერატურის მონაპოვართა კრიტიკული ათვისებისა და საკუთარ ყაიდაზე გადამუშავებისათვის?**

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ეყრდნობოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურისა და აზროვნების მდიდარ მონაპოვრებს, რომლებსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა, სწავლობდა და ანვითარებდა. სამშობლო იყო ილიას სალოცავი ხატი და საკვირველი რიდია, რომ ყველაფერს, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის საკითხსაც, სამშობლოს ინტერესების თვალით უყურებდა. მას მიაჩნდა, რომ **რუსეთისადმი ქართველი ხალხის პატივისცემა და სიყვარული მხოლოდ საქართველოს სიყვარულზე შეიძლებოდა აშენებულიყო.** ეს აზრი მწერალმა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოთქვა თავის გამოსვლაში ცნობილი რუსი მწერლის ე. მარკოვის პატივსაცემად გამართულ ნადიმზე. მოვუსმინოთ:

„რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მი, ხომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიც... ეს სიყვარული ჩვენი სამშობლოსი თავით თავისით წარმოადგენს იმ ნაყოფიერ ნიადაგს, რაზედაც იზრდება და ხარობს ჩვენი ეროგულება და სიყვარული რუსეთისა. ეს ჩვენი სიყვარული ჩვენი სამშობლოსი იგი მაგარი და შუამდგომელი ჯაჭვია, რომელიც აერთიანებს ჩვენს ზრახვასა და სასოებას უკეთეს რუსთა ზრახვასა და სასოებასთან“...

აქედან დღესავით ნათელია, რომ ქართველი ერის დიდი მოძღვარი თავისი სამშობლოს განთავისუფლებისა და შემდგომი წინსვლა-განვითარების ამოცანას პირდაპირ უკავშირებდა რუსეთის მოწინავე ადამიანთა („უკეთეს რუსთა“) პროგრესულ საქმიანობას. რაც შეეხება ცარიზმის დამცველ რეაქციონერებს, ი. ჭავჭავაძე მათ წინააღმდეგ ათეული წლების მანძილზე ეწეოდა უაღრესად ენერგიულ, თანამდევრულსა და გაბედულ ბრძოლას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დაჩაგრული და ყოველმხრივ შევიწროებული ქართველი ხალხის გამხნევებისა და მისი საბრძოლო განწყობილების ამაღლებისათვის.

გავეცნოთ ამ ბრძოლის ზოგიერთ ეპიზოდს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲓᲐ ᲨᲝᲕᲘᲜᲘᲡᲢᲘ ᲙᲐᲢᲙᲝᲕᲘ

ᲪᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ლაქიების მრავალრიცხოვან ბანაკში, რომელიც გაფთრებით ებრძოდა ყოველივე ახალსა და პროგრესულს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა გაზეთ „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორს, პირწავარდნილ შოვინისტსა და შავრაზმელს მიხეილ კატკოვს. ეს გაცვეთილი პუბლიცისტი, რომელმაც პოლიტიკური ბეზღობა და ცილისწამება ხელობად გიახადა, სისტემატურად აბეზღებდა მეფესთან არა მარტო ცალკეულ პროგრესულ ადამიანებს, (მაგალითად, ისეთებს, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი), არამედ აგრეთვე რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხებს; არ დარჩენია რუსეთში ისეთი ერი და ეროვნება, რომელიც კატკოვს მეფესთან არ დაებეზღებინოს.

საქართველოს წინააღმდეგ კატკოვმა პირველად 1865 წელს, თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყების მიზეზების გამოძიებასთან დაკავშირებით გამოილაშქრა. წერილებში, რომლებიც იმ ხანებში „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, კატკოვი ცდილობს დაარწმუნოს რუსი მკითხველი, თითქოს რუსეთთან შეერთებამდე საქართველოსა და ამიერკავკასიაში არავითარი „ცივილიზაცია არ არსებობდა; რომ ამ მხარეში არ იყო არც სკოლა, არც გზები, არც ვაჭრობა. რაც შეეხება აქაური სოფლის მოსახლეობას, იგი თითქმის მომთაბარეთა მდგომარეობაში იმყოფებოდაო“.

ამის შემდეგ კატკოვი თავს ესხმის საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდობას, რომლებმაც „შექმნეს საიდუმლო წრეები და დამოუკიდებლობის მოთხოვნას ბედავენ“. ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეები კი იქამდეც მივიდნენ, რომ თავიანთ გიმნაზიაში ქართულ ენაზე სწავლებას მოითხოვენო.

კატკოვი პირდაპირ კავშირს ხედავდა თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყებასა და პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას შორის და ასეთ დასკვნამდე მიდიოდა: „თბილისის არეულობის დროს თავი იჩინა ზოგიერთმა ისეთმა გარემოებამ, რაც დასავლეთ ევროპის რევოლუციური პრაქტიკისათვის არის დამახასიათებელი“.

კატკოვისათვის პასუხის გაცემა იკისრა საქართველოს თავადაზნაურთა მარშალმა, ცნობილმა ლიბერალურმა მოღვაწემ დ. ყიფიანმა (თერგდალეულებს ის დროს თავიანთი ორგანო არ ჰქონდათ), რომელმაც სცადა საქართველოს თვითმყოფობისა და ქართული ენის დაცვა.

დ. ყიფიანის წერილის შემრიგებლური ტონის მიუხედავად, კატკოვმა არ შეიწყნარა არც ერთი მისი არგუმენტი და მკაცრად დაწერილ სპასუხო წერილში ვკვრეავენ დაადგინა თვით ყიფიანის უფლება ილაპარაკოს ქართველი თავადაზნაურობის სახელით. „ქართველი თავადაზნაურობა არ არსებობს, ყიფიანი მარტო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წიგნმძღვარია და მეტი არაფერო“, — ცინიკურად განაცხადა მან.

მომდევნო 1866 წლიდან, მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმის შემდეგ, რუსეთში რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა, კატკოვის შავრაზმულ იდეებს ფართო გასაქანი მიეცა. განსაკუთრებით აუტანელი ვითარება შეექმნა 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა რევოლუციონერებმა ალექსანდრე II მოკლეს და მის ნაცვლად რუსეთის ტახტზე უხეშობითა და სისასტიკით განთქმული ალექსანდრე III ავიდა. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არაერთს ერებს მძიმე დრო დაუდგა.

სწორედ ეს მომენტი შეარჩია შოვინისტმა მ. კატკოვმა საქართველოს წინააღმდეგ ახალი გამოსვლებისათვის. 1882 წლის 19 თებერვალს მან „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ დაბეჭდა აშკარად პროვოკაციული კორესპონდენცია „თბილისიდან“, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა მეფის წინაშე ქართველი და სომეხი ხალხების პოლიტიკური დაბეზღება. კატკოვი და მისი დამქაშები იქამდე მივიდნენ, რომ აბუჩად აიგდეს ქართველი ხალხის წმინდათაწმინდა სალოცავი — ქართული დროშა; ისინი ციინკურად აცხადებდნენ: „ქართველები კარგს იზამენ, თავიანთი დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიპყიდონო“.

ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ ახალი მეფე წინანდელზე გაცილებით უფრო სასტიკი მტერავი იყო; მან იცოდა ისიც, რომ მ. კატკოვი ახალი მეფის განუსაზღვარი ნდობით სარგებლობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც გადაწყვიტა გამანადგურებელი პასუხი გაეცა ჰოვოკატორისათვის. გაზეთ „დროებაში“ (№ 40) მან გამოაქვეყნა სტატია „კატკოვის პასუხად“, რომელიც იმავე ხანებში გადაბეჭდა პროგრესული მიმართულების რუსულმა გაზეთმა „მოსკოვსკი ტელეგრაფმა“ (1882 წ. 9 მარტს). სტატიამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე რუსეთის ფართო საზოგადოებრიობაზე. პროფესორი ილია მომმწონებითაც ფარფაშობს და ლუკმა პურს აწვდის მაბეზღებელს, მაშინ პირდაპირ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოების წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრული მოახლოვებიაო“.

ამის შემდეგ ილია მიუთითებს, „ყველაზე საშიში და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავსო“, და გაბედულად მსჯელობს იმ უმწეო და უუფლებო მდგომარეობაზე, რომელშიც ცარიზმის ქვეშევრდომი ერები იმ დროს იმყოფებოდნენ. როცა ერს არა აქვს საშუალება თავი დაიცვას, გამოთქვას თავის გულისნადები, „ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარა უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი“, — ამბობს გულისტკივილით მწერალი.

ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული აღშფოთება გამოუწვევია კატკოვისა და მისი დამქაშის მიერ ქართული დროშის აბუჩად აგდებას. „გაცვეთილის კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია, — ამბობს იგი, — მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკლელად დაცვისათვის — არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზე სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიიჩნია, — იმის ეგრე უკადრისად ხსენებას, არ ვიცი, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრე მომხსენებელი რა სულიერებში შევრაცხოთ“.

ამაყად ღღერს დიდი მამულიშვილის დასკვნითი სიტყვები:

„ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით სჭერია, თავის სისხლში ამოუღია და რუსეთისათვის შეუმწიკლელად და უჩირქოდ გადაუცია: გაჭირვების ხმელ ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა ხალმარს ელზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველებს არაერთხელ დაუდვრიათ თავისი სისხლი რუსებთან ერთად... ღღეს ეგ დროშა საცოროკად გაგვიხადა ვიღაც კორესპონდენტმა... თვით ბარბაროსნისა კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებს მთელის ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც კი ითაკილებდა!“

ასე გაკარა ილია ჭავჭავაძემ სამარცხვინო ბოძზე მეფის ლაქია კატკოვი და მისი დამქაშები. **ასეთ ღირსეულ პასუხს აძლევდა დიდი მწერალი ცარიზმის ყველა დამცველს, რომლებიც ხელყოფდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, მის ენას, ისტორიასა და კულტურას.**

მაგრამ ილია ჭავჭავაძე, როგორც ითქვა, დაუნდობლად ებრძოდა არა მარტო ცარიზმის მოხელეებს, არამედ აგრეთვე ქართველი თავადაზნაურობის რეაქციულ ნაწილსაც, რომელიც ხელს უწყობდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიში იყო რეაქციონერთა ცნობილი ხელმძღვანელის გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკის ანტიეროვნული საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს თვითმყოფობის მოსპობას და ქართველი ერის გადაგვარებას. ილია ჭავჭავაძე აღაშფოთა გ. მუხრანსკის მოღალატურმა მოქმედებამ და მის მიერ შექმნილმა ყალბმა თეორიამ პატარა ერების მოსპობის აუცილებლობის შესახებ, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის იდეოლოგიური მომზადება.

გავეცნოთ ამ საკითხს უფრო ახლოს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲡᲙᲘ — ᲗᲕᲘᲗᲛᲞᲧᲝᲠᲝᲒᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲘ ᲚᲐᲥᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ თავადაზნაურობა, რომელიც ოდესღაც პროგრესული კლასი იყო და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, XIX საუკუნეში იმდენად გადაგვარდა, რომ ზურგი შეაქცია ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და აშკარად გადავიდა მეფის თვითმპყრობელობის მხარეზე. ამ კლასის ყველაზე რეაქციული ნაწილი, რომელსაც გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი და მისი ძმა ივანე მეთაურობდნენ, გააფთრებით იბრძოდა თავისი საუკუნეობით გამბატკიცებული პრივილეგიების დასაცავად და შზად იყო სამშობლოს ინტერესები საკუთარი კლასის ეგოისტური მიზნებისათვის გაეწირა. ეს იყო დიდგვაროანი ფეოდალების ჯგუფი, დიდი მებატონე-მემამულეები, რომლებიც ბატონყმობის გაუქმებას ქვეყნის უბედურებად თვლიდნენ და ძველ დროს თვალცრემლიანი მისტიროდნენ.

„რა რომ გლეხებს თავისუფლება გამოეცხადებათ, — მოთქვამდნენ ეს ლუარსაბ თათქარიძის თანამოძმენი, — ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემინ. ჩვენ კარი კარად უნდა ვეთხოვნთ. აღარ გვეყოლება მოსამსახურე, აღარც ვენახებისა და მიწის დამმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა“.

გადაგვარებული ქართველი არისტოკრატიის ეს გოდება ადვილად აღწევდა მეფის ყურამდე, რადგან მისმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ, რა დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველ თავადაზნაურთა მხარდაჭერას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამარჯვებისათვის, ამით აიხსნება, რომ მეფის მთავრობა უხვად აჯილდოვებდა ქართველ ფეოდალებს ჩინ-მედლებით, ფულითა და მამულებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვისა და ლენინგრადის საისტორიო არქივებში აღმოჩნდა უაღრესად საინტერესო მასალა, რომელიც ახალ შუქს ჰფენს გ. მუხრანსკისა და მის ხუროს უკან მდგომი რეაქციონერების მოღალატურ საქმიანობას. ეს მასალები თვალსაჩინოდ მოწმობს და დოკუმენტური სიზუსტით ადასტურებს, თუ როგორ უტიფრად ვაჭრობდნენ დადგაგარებული ქართველი დიდკაცები ერის სასიცოცხლო ინტერესებით.

გავეცნოთ ზოგიერთი დოკუმენტის შინაარსს.

1862 წლის 14 სექტემბერს რუსეთის მეფეს ქართველი თავადაზნაურობისათვის უბოძებია 2 მილიონი მანეთი იმ „ზარალის“ ასანაზღაურებლად, რომელიც მათ ყმების ჩამორთმევამ მიაყენა. მაგრამ ქართველი ფეოდალების ზედა ფენას ეს თანხა ეცოტავა და გადაწყვიტა, მეფისათვის ეთხოვა დამატებით კიდევ 2 მილიონის გამოყოფა. მეფისათვის ამ თხოვნის მისართმევად 1864 წლის 14 ივლისს გ. მუხრანსკი პეტერბურგში ჩასულა, პირადად უნახავს მეფე ალექსანდრე II და გადაუცია მისთვის ორი დოკუმენტი: მოხსენებითი ბარათი და რესკრიპტის წინასწარ შედგენილი პროექტი.

ამ დოკუმენტებში, რომლებიც თვით გ. მუხრანსკის მიერა

ტელეფონის ხაზზეა ვაშინგტონი

ამერიკელთა ინტერესი საქმიანია

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, საქართველოს დიზაინერთა კავშირის თავმჯდომარის ზურაბ წერეთლისთვის საზღვარგარეთ საქმიანი მისვლა მოგზაურობა პირველი არ არის. აი, ახლაც სახელოვანი მხატვარი ვაშინგტონშია. კერძოდ, რა მიზნით არის იქ? უპირველესად ეს გვაინტერესებდა, როდესაც „კომუნისტის“ კორესპონდენტი თბილისიდან ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ტელეფონით ესაუბრა ზურაბ წერეთელს:

— ამჯერად ვაშინგტონში ვიფორმებ საბჭოთა საელჩოს, უფრო ზუსტად, ეს არის საელჩოს დიდი მისაღები დარბაზი, მისი ორი უზარმაზარი კედელი, რომლისგან ერთზე გამოსახული იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიული ძეგლები, ხოლო მეორე გაგვიცოცხლებს ჩვენს დღევანდელობას. აი, ჯერჯერობით, მოკლედ ეს შემიძლია გითხრათ სამუშაოზე, რომელიც მე პირადად საინტერესოდ მიჩვენება.

ახლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაგაცნოთ უდიდესი ამერიკული გაზეთების გამოსმაურებანი, რომლებიც საბჭოთა და ამერიკელ მხატვარ-დიზაინერთა ამასწინანდელ შეხვედრებსა და საქმიან კონტაქტებს ეძღვნება. აი, მაგალითად, მე აქვე მაქვს გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“, „ვაშინგტონ ტაიმსი“, „ბოსტონ გლობი“, რომელთა გამოსმაურებების მარტო სათაურებიც კი უკვე ბევრს ნიშნავს — „დიზაინი მშვიდობისათვის“, „ამერიკული მოდის პირველი ჩვენება მოსკოვში“, „ახალგაზრდობის ტანსაცმელი მშვიდობისათვის“.

„ვაშინგტონ პოსტი“ დიდ ადგილს უთმობს ამერიკელი მხატვარ-დიზაინერების ყოფნას საქართველოში, რომლებმაც საბჭოთა დიზაინერებთან ერთად შექმნეს ახალგაზრდული ტანსაცმელი „დიზაინი მშვიდობისათვის“. სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ სითბოზე, რომელიც ამერიკელმა მხატვარ-დიზაინერებმა იგრძნეს საქართველოში, აღნიშნავს იმ სამუშაო პირობებს, რომელიც ამერიკელ დიზაინერებს შეუქმნა ახლად ჩამოყალიბებულმა საქართველოს დიზაინერთა კავშირმა. კორესპონდენტი წერს: „იმ დროს, როდესაც ვაშინგტონში მომდინარეობდა მოლაპარაკება შეიარაღების შემცირების თაობაზე, მოსკოვში საბჭოთა და ამერიკული დროშების ფონზე აჩვენებდნენ საქართველოში საბჭოთა და ამერიკელი დიზაინერების მიერ შექმნილ ტანსაცმელს „მოდა მშვიდობისათვის“. სასიამოვნოა, რომ მოსკოვის შემდეგ ამერიკაშიც მოეწყობა ამ მოდების ჩვენება“.

— ასე რომ, — გვეუბნება ზ. წერეთელი, — საბჭოთა და ამერიკელ მხატვარ-დიზაინერთა ურთიერთობას საინტერესო პერსპექტივები აქვს. ეს დაადასტურა კიდეც მოსკოვში, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრში გამართულმა საბჭოთა და ამერიკული დიზაინის კვირეულმა, რომელიც ორგანიზებული იყო სსრ კავშირის დიზაინერთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების „ოუენ-ბრესლინის“ კომპანიისა და მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მიერ. ტანსაცმლის მწარმოებელი ცნობილი ამერიკული კომპანიები და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო აირებენ, მალე მსოფლიო ბაზარზე გაყიდონ საბჭოთა და ამერიკელ მხატვარ-დიზაინერთა მიერ შექმნილი მოდები. — აი, ეს არის სულ, რაც შეიძლება ამჯერად ტელეფონით გითხრათ.

„ულსიქეიში“

ტელეტაიპი გადმოგვცემს 23 სექტემბერი ● საკდესი

ზოგადპოლიტიკური დისკუსია გრძელდება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე ზოგად-პოლიტიკური დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა გამოსვლებში იმ აზრს გამოთქვამს, რომ საჭიროა შეიქმნას ყველას უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემა — საერთაშორისო გაერთიანების თითოეული წევრის უშიშროების საწინდარი. მრავალი ქვეყნის დელეგაციათა მეთაურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საჭიროა კოლექტიური ძალისხმევა და თანამშრომლობა თანამედროვეობის ძირითადი პრობლემების გადასაჭრელად.

მექსიკის დელეგაციის მეთაურმა, მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარდო სეპულვედა ამორმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობა ეფუძნებოდეს ერთმანეთის სრულ პატივისცემას, ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობას, ერთმანეთის ინტერესებზე ზრუნვას, ერთმანეთისადმი ნდობასა და ურთიერთგაგებას. ეს ფაქტორები, — ამბობს ბ. სეპულვედა, — ეხმარებიან ეროვნულ ეკონომიკებს, ეხმარებიან ეროვნულ ინტერესებს, ეხმარებიან ეროვნულ ინდენტურობას, ეხმარებიან ეროვნულ ინდენტურობას, ეხმარებიან ეროვნულ ინდენტურობას